საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
Office of Public Defender of Georgia

1171-01-7-2-201701261723

N 01-7/1171
26/01/2017

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ნინო ბერძულს

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
№ 9224
30 « 01 » 2017 წ.
2 ფურცელი

ქალბატონო ნინო,

საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, სახალხო დამცველი სწავლობს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობას და რეაგირებს დარღვევის ფაქტებზე. სახალხო დამცველის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება და პრიორიტეტი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ადამიანების, კონკრეტულად კი ოკუპირებულ ტერიტორიაზე და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოქალაქეების უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგია.

„სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახალხო დამცველი სწავლობს 2015 წლის 23 სექტემბერს ქ.გალში მომხდარი ავტოკატასტროფის შედეგად სამი ადამიანის სიცოცხლის მოსპობის შემთხვევას.

გავრცელებული ინფორმაციით, გალის ცენტრში, რუსთაველის ქუჩაზე, სასწრაფო დახმარების მანქანას, რომელსაც პაციენტი საავადმყოფოში გადაჰყავდა, მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. ავარიის შედეგად დაიღუპა გალის ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, ექიმი ლია ჩხოტუა, ექთანი თეა ჭედია და პაციენტი ნური ხასაია. მძიმედ დაშავდა პაციენტის თანმხლები პირი და სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლი.[1] სახალხო დამცველის წარმომადგენლებთან საუბრისას, აღნიშნულ ინფორმაციას ადასტურებენ გარდაცვლილთა ნათესავები და გალში მომუშავე მედპერსონალი.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის „გ" ქვეპუნქტების თანახმად, გთხოვთ, ამავე კანონით დადგენილ ვადაში გვაცნობოთ, აღმოეჩინა თუ არა ფინანსური დახმარება სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაცვლილ გალის სასწრაფო დახმარების ცენტრის თანამშრომელთა ოჯახებს.

[1] „მძღოლი, რომელმაც გალში "სასწრაფოს" მედპერსონალი და პაციენტი იმსხვერპლა, ქუთაისში მკურნალობს - საზარელი ავარიის დეტალები," კვირის პალიტრა, 25.09.2015; „ავარია გალში - გარდაცვლილია 3 ადამიანი" რადიო ათინათი, 23.09.2015; „გალში ავარიას ორი ექიმის და პაციენტის სიცოცხლე ემსხვერპლა", news.ge.

02-6

საქართველო, თბილისი 0179, ნ.რამიშვილის ქ.6, ტელ.:(+995 32) 2913814/15; www.ombudsman.ge; ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
6, N.Ramishvili St., Tbilisi, Georgia, 0179, Tel.: (+995 32) 2913814/15; www.ombudsman.ge; e-mail: info@ombudsman.ge

პატივისცემით,

ნათია კაციტაძე

სახალხო დამცველის პირველი მოადგილე